# დროება

გამოდის ყოველ-დღე ორშაბათს გარდა

**რედაქცია**

გოლოვინის პროსპექტზე. ივ. მუხრანსკის სახლებში კლუბის ქვემოთ.

**ხელის-მოწერა**

მიიღება თფილისში „დროებისა“, „ივერიის“ რედაქციაში, ქუთაისში: „დროება-ივერიის“ აგენტთან ი. ქონისხთან სილაზე. გარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ, въ редакцію „Дроэба“-„Иверіи“.

**„დროება“-„ივერიის“ ფასი**

| | წელიწადში. | 6 თვეს | 3 თვეს |
|---|---|---|---|
| „დროება“ და „ივერია“ ერთად | 14 მან. | 8 მ. | 5 მ. |
| ცალკე „დროება“ | 9 მან. | 5 მ. | 3 მ. |
| ცალკე „ივერია“ | 7 მან. | 4 მ. | 2 მ. |

**ფასი განცხადებისა**

დიდი ასოებით ასოზე 1 კაპ., წვრილ ასოებისთვის ასო-მთავრულით ასოზე ნახევარი კაპ., წვრილ მხედრულით ასოთ ასოზე მეოთხედი კაპ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდელ წერილს რედაქცია უკან ვერ დაუბრუნებს ავტორს.

განცხადებანი მიიღება ქართულს, რუსულს და სხვ ენებზედ.

ქუთაისში განცხადებას მიიღებს „დროება“-„ივერიის“ აგენტთან.

ცალკე ნომერი „დროებისა“ ღირს 5 კაპ.



თბილისის თეატრი

ოთხშაბათს, 28 ოკტომბერს

ბენეფისი

## გ. კორინთლისა

მონაწილეობას მიიღებს

კნ. მ. რუსიევა—კორჩიბაშევისა.

ქართული დრამატიული დასის არტისტებისაგან წარმოდგენილი იქნება:

**I**

**კიდევ ერთი მსხვერპლი**

კომ. ზ. სუნდუკიანცისა.

**II**

**დატრიალდა ჯარა**

ვოდევილი რუსულით ნათარგმნი

ა. ციციანისა.

ბილეთები ისყიდება თეატრის კასსაში.

დასაწყისი 8 საათზე.


## განცხადება

რადგან ჩვენ ვიკარსრეთ ჩვენი სცენის გაუმჯობესობა, ამის გამო პირველი ყურადღება მივაქციეთ იმ ნაკლულევანებათ, რომელიც გამოაშკარავდა ქართულ სცენის დაარსებიდამ, ე. ი. 1879 წლიდამ, ამ ჟამამდინ.

ზოგიერთ სცენის-მოყვარეთ, რომელნიც მმართავდნენ წარმოდგენებს თფილისში და ქუთაისში, პირველად მოიყარეს თავი თფილისში, დაარსეს სმუდამო ტრუპპა და დაიწყეს რიგზე, დრო-გამოშვებითი წარმოდგენები. იმ თავითვე არ შეიძლებოდა წინათვე გამოცნობა სცენის ყველა საჭიროებისა.

თავის მოკლე ხნის არსებობაში სცენამ ყოველგვარი მდგომარეობა გამოიარა: პირველად ის მშვენიერად მიდიოდა, რადგან მთელი ჩვენი საზოგადოება აღტაცებული იყო იმით, რომ სამშობლო-სცენას ეღირსა და ამ სცენიდამ დედა-ენა ესმოდა. თეატრი მუდამ სავსე იყო ხალხით, რომელიც აძლევდა ქართულ სცენას როგორც მატერიალურ, ისე ზნეობით საშუალებას.

ამ საზოგადო აღტაცებამ მსწრაფლად გაიარა. ტრუპპა გაჭირებაში ჩავარდა და ჩვენი არტისტები ძლივსლა იბრუნებდნენ სულსა.

ჩვენ გვგონია, რომ ამ საზოგადოების გულ-გრილობის მიზეზი იყო რამდენიმე:

1) ჩვენი სცენის საქმე ქველ-მოქმედებითს საფუძველზედ იყო დამყარებული და ამის გამო ჩვენი თეატრიც იმ მდგომარეობაში ჩავარდა, რა მდგომარეობაშიაც ჩაცვივდნენ ყველა ქველ-მოქმედებითნი საქმეები ჩვენის ქალაქისა.

2) მეორე მიზეზიც ამ პირველიდამ წარმოსდგებოდა; მის მაგიერად რომ საზოგადოება იქამდინ მისულიყო, რომ თვითონვე ეგრძნო საჭიროება თეატრში სიარულისა, ტრუპპა გზავნიდა ბილეთებს და, როგორც მოგეხსენებათ, ვინც ამ ნაირად მანეთს შემოიტანდა, ათ თუმნისას იყვიროდა ხოლმე თავის ქველ-მოქმედებაზე და ამით სარგებლობის მაგიერ, დიდ ზარალს აძლევდა სცენის საქმესა.

ამას გარდა—3) პირველად კარგად საქმის წაყვანით წაქეზებულმა ტრუპპამ მეორე წელიწადს დაიწყო სულ ერთი-და-იგივე პიესების გამეორება; ახალი პიესები იშვიათად იდგმებოდა სცენაზე და რაც იყო, იმასაც ხეირიანად არ ამზადებდნენ.

როდესაც ამ ნაირად გავიგეთ—თუ რა ნაკლულევანება ჰქონდა ადრინდელს ჩვენს სცენას, გადავწყვიტეთ:

ა) გავამრავლოთ, გავამდიდროთ ჩვენი რეპერტუარი საუკეთესო დრამმატიულ პიესებითა, რომლისთვისაც დახმარება ჩვენმა მწერლებმა აღგვითქვეს;

ბ) მივაქციოთ განსაკუთრებითი ყურადღება პიესების დადგმას, რეჟისორის ნაწილს, როლების შესწავლას, ტანისამოსის გაუმჯობესებას და სხვ.

გ) ჩვენ შევეკარით კანტრაქტით მოთამაშეებთან და ამით იმედი გვაქვს თავიდამ ავიცილებთ შემდეგში იმ უწესოებას, რომელიც ისე აბრკოლებდა ადრე ჩვენს თეატრის საქმეს.

დ) შევმატოთ ტრუპპას ახალი მოთამაშეები, რომელნიც მიიღებიან რიგიანის დებიუტის შემდეგ.

ე) გამოვაცხადოთ აბონიმენტი იმ მიზნით, რომ საზოგადოებას გაუადვილოთ უფრო იაფად ბილეთების შეძენა და ჩვენც დარწმუნებული ვიყოთ, რომ ცოტა, მაგრამ მუდამი შემოსავალი გვექნება წარმოდგენებიდამ, შემდეგის პირობით:

**აბონემენტი**

**ქართული თეატრისა**

იმართება მარტო ექვსი წარმოდგენისათვის პირველ იანვრამდის 1882 წლ.

ფასი დაკლებულია:

ლიტ. და შუალოჟ. 54 მ.—60 მ. მაგიერ
ლოჟ. № 1,2,19,20 30 მ.—42 მ. „
დანარჩენი ლოჟები 36 მ.—48 მ. „
ქრესლო 1 რიგისა 15 მ.—18 მ. „
ქრეს. 2 და 3 რიგ 10 50—12 მ. „
სკამი მესამე რიგ. 4 50— 6 მ. „ (მ. კ.)

აბონემენტზე ხელის მოწერა შეიძლება

ქართული თეატრის გამგენი ( გ. აბაშიძე
( კ. მესხი.

# ტელეგრამმები

(„ხალხთაშორის ტელეგრაფის სააგენტოს“)

**პეტერბურღი, 20 ღვინ.** მმართებლობამ ნება დართო რომ ამიერ კავკასიის საქალებო ინსტიტუტში სახელმწიფო ხარჯით მიიღებდენ იმ მოხელეთა ქალებს, რომელთაც კავკასიაში უმსახურნიათ.

**პეტერბურღი, 19 ღვინობ.** ექსპერტებმა გადასწყვიტეს, რომ ადეკრძალოს ურიათ-მეტად მუდეებს სასმელებით წვრილმანი ვაჭრობა სოფლებში და ქალაქში. ხმა არის ვითომც სახელმწიფო რჩევას გარდაეწყვიტოს, რომ მამულების შესასყიდველი გადასახადი მთელს სახელმწიფოში თანაბრად შემცირდეს. ოც-და-ცხრას ამ თვისას სენატში დანიშნულია განსახილველად საქმე მინსკის გუბერნიის ნაგუბერნატორალის თანამდებობითი დანაშაულობისა. ხმა არის, რომ დონის მხედრობის მხარეში სასენატო რევიზია დაინიშნებაო.

**პეტერბურღი 21 ღვინობ.** გუშინ პეტერბურღში გაიხსნა პირველი სხდომა მმართებლობის ზავედენიების წარმომადგენელთა.

## «დროების» ფელეტონი, 25 ოკტომ.

* * *

თუ გინდ ასტყდეს ქარიშხალი,
თუნდ ცამაც მოიშავბედოს,
ვერაფერი მე ვერ გამხდის
სულ-მოკლეს და უიმედოს.

ეს იმედი მასულდგმულებს,
ამითი ვარ მე ცოცხალი;
ლამპარივით გზას მინათებს,
მისითა მრწამს მომავალი.

მალ-მალ მეტყვის: „ბამხნევდიო,
„უველა წავა და წამოვა
„და შენი ქვეყნის ბედიო
„კვლავ დიდებულად ამოვა.“

1881 წ. ი. ბაქრაძე.

* * *

შენ სტირი და ლაწვებზედა...
ჩამოგდის ცრემლი მდუღარე:
თვალთ მარიდებ, მაინც გატყობ,
რომ ხარ ტანჯულ და მწუხარე.

—

ვიცი, სატრფოვ, შენცა გტანჯავს
ულმობელი ეს სოფელი,
მაგრამ ცრემლთა ვითა ძალუძსთ
ბარდგიყარონ გულს ნაღველი.

—

ჭირსა შინა გამაგრება
ვაჟ-კაცისთ არის წესი;
მაშ დასტოვე მწუხარება
და იყავი ვით ტალ-კვესი.

—

მაგრამ შენ მე ყურს არ მიგდებ,
ჩაგიღუნავს მწარედ თავი;
რა ვქნა! მაშ მეც ტირილს ვიწყებ,
მეც ვარ სოფლის მომდურავი.

ი. ბაქრაძე.

1881 წ.

## მოლოდინი

(დასასრული*)

ქუჩიას ფუსფუსს ბოლო აღარა ჰქონდა, სმა და ჭამა აღარ აგონდებოდა. ხანდისხან შეისვენებდა, დაჯდებოდა ღერეფანში და გაშტერებით შესცქეროდა გზას, საიდამაც მოელოდა შვილს. მართაც აქეთ-იქით ღიმილით იყურებოდა.

ბოლოს ეს სანატრელი შვილიც მოვიდა. საწყალ დედას სიხარულით ენა დაება და თვალები ცრემლებით აევსო. იმის წინ იდგა ეხლა უხვად წვერულვაშით შემკული ვაჟ-კაცი გამტვრიანებული ტანისამოსით. მართაც თითქო გაცოცხლდა, სხაპა-სხუპით ხან რას ჰკითხავდა და ხან რას, პასუხს არც კი უცდიდა. მიხაკი ალერსით და მხიარულად შესცქეროდა დედას და დას, და ხან ერთს, ხან მეორეს გადაეხვეოდა. დედა და ქალი ერთმანერთს არ ეცლიდნენ და მხიარულად ტიტინებდნენ:

— შვილო, მშიერი იქნები, ჭამე რამე, ეუბნებოდა დედა.

— მიხაკო, არ დაიღალო, დაჯექ, დაუმატებდა და.

— შვილო, ჩვენი სახლი უნდა გაეყიდნათ, იმდენი ვიწუწუნე, რომ შენს მოსვლამდის ტორგი დავაყენებინე.

— მიხაკო, რომ იცოდე დედა რა ნაირად ჯავრობდა, როცა ჭორი მოუტანეს, ვითომ რუსის ქალს ირთავ!

— შვილო, არ გაცივდე, ნამგზავრი ხარ.

— მიხაკო, ალაგსაც ხომ მალე იშოვი, ინჟინერებს დიდი ჯამაგირი აქვსთ ხოლმე.

— ეხლა კი გავცოცხლდი აღარა მიჭირს-რა, შვილო, რაკი შენ გვერ-

*) იხ. „დროება“ № 222.

ხარკოვი. ღვინ. განზრახვა არის, რომ ტეხნოლოგიური ინსტიტუტის მაგიერ უფრო პრაქტიკური-პოლიტეხნიკური ინსტიტუტი გახსნან სამთო საქარხნო განყოფილებითურთ. ხარკოვში აარსებენ სამთო-საქარხნო ურთი-ერთ ნდობის ბანკსა. თამბაქოს თაობაზე დანიშნულ კომისსიამ გარდასწყვიტა რომ დაცულ იქმნას ბანდეროლის სისტემა ცოტაოდენის ცვლილებით. თამბაქოს თესვა-მოყვანა თავისუფალი რჩება.

## ახალი ამბები.

უკანასკნელს სხდომაზე ქალაქის რჩევამ, სხვათა შორის, მოილაპარაკა ხმოს. ნ. დ. ზუბალოვის წინადადებაზედ, რომ 10,000 მან. გადადვას ქალაქმა თავის ხაზინიდამ ტფ. პირველ კლასსიკურ გიმნაზიის ღარიბ შაგირდების სასარგებლოდ.

რჩევამ ხანგრძლივი ბაასის შემდეგ, მიიღო მხედველობაში, რომ ქალაქმა უმთავრესი ყურადღება პირველ დაწყებით სასწავლებლებზე უნდა მიაქციოსო და ამის გამო ბატ. ზუბალოვის წინადადებაზე უარი განაცხადა.

ამას გარდა ბევრი ლაპარაკი იყო ქუჩებისა და ტროტუარების გასუფთავების თაობაზედ. რჩევამ გადაწყვიტა, რომ გამგეობა ვალდებულია იმ 57,000 მანეთით, რომელიც საკუთრივ ქუჩების საწმენდად აქვს მიცემული, რჩევის განჩინებით, ტროტუარებიც უნდა სწმინდოსო.

*
* *

გორიდამ გვწერენ, რომ საშინელი ავაზაკობა დაიწყეს ჩვენს ქალაქშიო. წასრულ კვირას მედუქნე გიორგი მაჭახლისოვს გამოსჭრეს ყელი, ას თუმნამდინ წაიღეს და ავაზაკები ჯერაც ვერ აღმოუჩენიათ.

გასტეხეს ღვთის-წყალობა მჭითოვის დუქანი შუა ქალაქში, 160 მან. ფული წაიღეს და საქონელი, ქურდები არა სჩანან. კიდევ გასტეხეს სტ. ზუბიევის მაღაზია გორის მთავარ ქუჩაზედ, და აქ კი პოლიცია მხნედ მოიქცა: გ. გვარამაძემ ორი ავაზაკი ერთად დაიჭირა შიგ მაღაზიაში, რომელნიც არესტანტის როტიდამ ყოფილან დაბრუნებულნი.

*
* *

გორის მაზრის სოფ. ქვემო-ხვედურეთიდამ გვატყობინებენ, რომ აქაური მამასახლისი თურმე საქენობით შეშას ჰყიდის გორის მაზრის გამგეობის ჩინოვნიკებზე, გლეხები გამოჰყავს ურმებით სოფლიდამ, ეუბნება ამათ სახელმწიფო შეშა არისო და მუქთად გზავნის გორში.

*
* *

სურამიდამ მოგვივიდა ამბავი რომ ამ თვის 19-ს იქ გაუტეხიათ დუქანი ვაჭრის ზაქარია არუწოვისა შუა ქალაქში. დამნაშავე ჯერ არ აღმოჩენილა. ჩვენ პრისტავს ეს ოცი დღეა, რაც სურამში არ გაუვლიაო; მიზეზს იმას ამბობსო, რომ ერთი დიდი უჩასტკა მაქვსო და ყველგან მოვლას ვერ ვასწრობო.

## „დროების" კორრესპონდენცია.

მარტვილი, 16 ოკტომბერს. დიდად სასიამოვნო და საკეთილო ამბით შემიძლიან გავახარო ყველანი, ვისაც კი ესმის ნამდვილი ინტერესი ჩვენის ქვეყნისა, ვისაც კი აქვს სურვილი კეთილ-წარმატებისა და სიბედნიერისა ჩვენი პატარა საქართველოისა.

გუშინ, თხუთმეტს, და დღეს, 16-ს, იყო სოფელს მარტვილს, ალაგობრივ სასულიერო სასწავლებლის სახლებში, კრება მ. მ. დეპუტატთა სამეგრელო სამღვდელოებისა. დიდი და საძმიმო საგანი, რომელიც ამ დეპუტატებს უნდა გაერჩიათ და რომელზედაც უნდა დაედგინათ გარდაწყვეტილება, გახლდათ ფულის შეწირვა გასახსნელად სასულიერო სემინარიისა ქ. ქუთაისს.

ეს საგანი ჰქონდა მიცემული წინადადებად წარსულს სეკტემბერს ეგრეთვე იმერეთის სამღვდელოებას. ამათ, პატივსადებლად თავიანთ თავისა და გასახაროდ ჩვენ ქვეყნისა, გადასწყვიტეს გახსნა სასულიერო სემინარიისა ქ. ქუთაისს და შესაწევნელად მისდამი დაადგინეს განჩინება, რომ იგინი ექვსის წლის განმავლობაში შესწირვენ თავიანთ წლიურის ჯამაგირისას ნახევარ—ნახევარს. თუმცა ეს გადაწყვეტილება ძრიელ შესანიშნი და სამაგალითო რამ არის, მაგრამ ქუთაისის სამღვდელოებას არას გზით და არას დროს არ შეეძლო მიეღო მარტო თავის-თავზედ აღვსება იმ ფულისა, რომელიც არის საჭირო სემინარიისათვის. ამისთვის საქმე სრულიად ფუჭად ჩაივლიდა და ეს კეთილი განზრახვა დაწყებაშივე მოისპობოდა, უკეთუ ამ გადაწყვეტილებას არ შეუერთდებოდა სამეგრელოს სამღვდელოებათა ამგვარივე გარდაწყვეტილებაც. ეს მხარე საგნისა მით უფრო საფიქრებელი იყო, რომ, საზოგადოდ, სამეგრელოს სამღვდელოება უფრო შეუძლებელი და ღარიბია, ვიდრე იმერეთისა. ამისათვის ბედი და უბედობა ამ საქმისა სრულებით იყო დამოკიდებული კრებაზედ, რომელიც გათავდა დღეს, 16-ს.

დეპუტატებმა დაიწყეს შეკრება 14 ამ თვისას და 15 დილით ოც და ცამეტიდამ, რომელიც უნდა შეკრებილიყო მთელის მაზრიდამ, შეიკრიბა ოც და თერთმეტი. ამათ, რა თქმა უნდოდა, წინდაწინვე იცოდნენ საგანი თავიანთ შეკრებულებისა და წინ და წინვე, სანამ დაიწყებოდა ოფიციალური კრება, ჰქონდათ ერთმანეთში შინაური მოლაპარაკება. ჩვენ, რომელნიც ვიყავით აქ და დიდის ინტერესით უგდებდით ყურს ყველა სიტყვას თითოეულ დეპუტატისაგან წარმოთქმულს, სიამოვნებით შევნიშნეთ წინათვე, რომ საქმეს კეთილი ბოლო უნდა ჰქონოდა.

მართლა და ისეც მოხდა. 15-ს მობრძანდა მარტვილს მღვდელთ-მთავარი იმერეთისა გაბრიელი, პირველი მოთაური ამ სამაგალითო საქმისა, რომელიც ეს—ოცი წელიწადია—სულ ამ საქმეზე არის თავ-გადადებული და რომლის გამოც, როგორც წარსულში, ეგრეთვე ეხლა, ბევრის მხრით არის სხვა და სხვა განსაცდელში.

დეპუტატთ ამოირჩიეს თავსმჯდომარედ ერთი თავიანთი პატივსაცემი და გონიერი თანამოძმე და შეატყობინეს მღვდელთ-მთავარს, რომ ისინი მზად არიან შეუდგნენ საქმეს და ელიან მისგან დარიგებას და მღვდელთ-მთავრის ლოცვა-კურთხევას. მობრძანდა მღვდელთ-მთავარიც. უეჭველად იცის ვინ არის და რა არის გაბრიელ ეპისკოპოსი ამგვარ შემთხვევაში! დინჯად, წყნარად, უეფექტოდ, მაგრამ მშვენიერის ცოდნით და მისახვედრად იმ პირებისა, რომელთანაც ჰქონდა მას საქმე,—წარმოსთქვა დარიგება, რომელსაც შეგვიძლიან უწოდოთ ნამდვილი ორატორული სიტყვა. აუხსნა მნიშვნელობა სწავლისა საზოგადოთ, მერე სამღვდელოებისათვის და მერე იმერეთისა. აუხსნა, როგორ და რა საშუალებით მიეცათ იმათ ჯამაგირი და როგორ ფიქრობს ის, რომ ეს ჯამაგირ ამ პირველ დაწყებაში იყოს მოხმარებული.

ბევრი რამ უთხრა ეპისკოპოსმა სამღვდელოებას, ბევრი დაარიგა და მერე ისე, რომ, როდესაც ჩვენ, გარეშე პირებმა, მოვისმინეთ ეს ყველა ნათქვამი,—თუ აქამომდე რამე ეჭვი გვრჩებოდა საქმის კეთილად გათავებაზე,—სრულებით დავიმშვიდეთ გული და წამოვედით შინ არხეინად. წამობძანდა ეპისკოპოსიც და დაიწყო კრებამ მსჯელობა. აი მოკლე განჩინება. რომელიც შეადგინა სამღვდელოებამ და რომელზედაც მოაწერეს ხელი მთლად ოც-და-თერთმეტმა დეპუტატთ.

იგინი, როგორც იმერეთის სამღვდელოება, თანახმანი არიან შესწირონ სასარგებლოდ სასულიერო სემინარიის

---

დით მეყოლები; უნდა ამის მოვალეობიდამაც გამოვიდეთ... დაუმატა მფემიამ და ხელით უჩვენა მართაზე.

ამათ სხაპა-სხუპით ლაპარაკზე მიხაკა ვერც კი ასწრობდა პასუხის მიცემას, მაგრამ უკანასკნელი დედის სიტყვები რომ გაიგო, შეჰკრთა, დაღონდა და თითქო მორცხობდა. გახარებულ დედამ და დამ ვერა შეამჩნიეს-რა, ეგონათ, რომ დაღალულია, და წაიყვანეს დასაძინებლად ცალკე მომზადებულ ოთახში.

როგორც კი მიხაკა მარტო დარჩა, დაეცა ლოგინზე, წაიშინა თავში და ბუტბუტით სთქვა:

— საწყალი დედა! იმას ჰგონია, რომ გვერდით მოუჯდები და მართას გაუთხოვებ. ჩემი ბრალია, ჩემი, უნდა იქიდამ მომეწერა. განა არა, რამდენჯერ მითხრა მაშომ... ამათ ხომ თავისას არ დაიკლებენ, ჩემი ჯამაგირით ვაცხოვრებ. მაგრამ როგორ უთხრა? რა ნაირად მეძნელება! მაშო ტყუილად კი არ მეძახის ლაჩარს!

მიხაკამ სწრაფლად ამოიღო უბიდამ ქალის სურათი, გაუღიმა, გადაჰკოცნა და გულზე მიიკრა.

ძალზე დაღალულ მგზავრს მალე ტკბილად დაეძინა.

---

სწორედ ერთი კვირა მფემიას სახლში დიდი მხიარულობა იყო. დედა და და ალარას ამბობდნენ სამსახურის შოვნაზე, რადგან მიხაკამ გაკვრით უთხრა, რომ ალაგი კიდეც ნათხოვნი მაქვსო და თანაც დარწმუნებული იყვნენ; რომ სადაც უნდა იშოვოს მიხაკამ ადგილი, ისინი თან გაჰყვებიან. მიხაკას კი ეძნელებოდა თავის გულის ამბის გამოთქმა და დღესხვალაზე გადასდებდა.

მერვე დღეს, ბინდისას, როცა დედა და შვილები მხიარულად ჩაისა სვამდნენ დერეფანში და მართა თითქო ათი წლით გაახალგაზდებული მხიარულად უამბებდა თავის ძმას, რომ მეზობელთან ნახა ერთი რუსი აფიცერი, რომელსაც ახირებით უნდოდა იმის შერთვა და რომ ძლივძლიობით თავიდამ მოიშორა, ამ დროს უეცრად შემოიტანეს დეპეშა. მიხაკამ ჯერ გაოცებით გახსნა, მერე უნებლიეთ შეჰკრთა და ფერი წაუვიდა. დედა და და მივარდნენ მაშინვე და დაუწყეს გამოკითხვა—თუ ვისგან იყო ეგ დეპეშა.

— ჩემი ცოლი მიბარებს, ბავში ავათ გახდომია, ჩემთვის ალაგიც უშოვნია... სთქვა მიხაკამ აღელვებით.

მფემიამ ბარბაცით უკან დაიწია და ისე გაშრა, რომ ხმა ვერ ამოიღო, მარტო ნიკაპის კანკალზე შეეტყობოდა იმას აღელვება. მართა კი გაოცებით შესცქეროდა ძმას და ეგონა, რომ სხვა ნაირად შემოესმა იმის სიტყვები. ბოლოს მფემია მოვიდა გონზე და ჰკითხა შვილს:

— რას ამბობ? ცოლიო? შვილიო? არა გამეგება-რა... ერთი შემატყობინე, განა რუსის ქალი შეირთე?

— რა ვქნა, დედაჯან, ეს ორი წელიწადია ყოველ დღე ვაპირებდი მომეწერა თქვენთვის და ვერა ვბედავდი. რვა დღეა, რაც აქა ვარ, ყოველ წუთს ვაპირებდი მეამბნა ჩემი ამბავი და ვმორცხობდი. ხუთი წელიწადია ვიყავ თქვენგან მოშორებული, გადაკარგული შორს, უცხო ხალხში, რამდენჯერ უფულოდ, მშიერ-მწყურვალი, რამდენჯერ ავათმყოფი ვყოფილვარ იმ ქვეყანაში,—მაშო და იმის დედა იყვნენ ჩემი მფარველები, ჩემი ნუგეშის-მცემლები. მე შევიყვარე მაშო, სიტყვა მივე და შენ ხომ იცი, დედა, ჩემ სიტყვას არ გადუდგები ხოლმე. დარწმუნებული ვარ, შენც და მართაც შეიყვარებთ ჩემს მაშოს.

მიხაკა თან ლაპარაკობდა, თან ხელებს უკოცნიდა და ეხვეოდა დედას.

ქ. ქუთაისს, სანამ შეივსებოდეს თავნი ფული სამას ოც-და-ცამეტი ათასი მანეთი, ყოველ წლივ, თავიანთ ჯამაგირის ნახევარ-ნახევარი, და თუ არ მოვიდა ნება სემინარიის გახსნისა, ეს ფული უნდა დარჩეს თანხად სამღვდელოების ბანკისა.—

პატივი თქვენ, პატივცემულნო მამანო, პატივი და გამარჯვება თქვენ! იმაზედ, თუ რა შედეგი აქვს ამ თქვენს დაწყებას, რა საჭიროება მოითხოვდა ამ სასწავლებელს, დაწვრილებით მოგახსენებთ ამ მოკლე ხანში, რადგან აქ არ არის ალაგი და არც დრო. ეხლა კი თქვენ დასდევთ სამაგალითო საქმე, არ დეემგზავსენით იმ სამღვდელოთა, სიღნაღის მაზრის, რომელნიც ექვსასი მანეთისათვის, თავიანთ უმეცრობით, მრთელს სასწავლებელსა ჰკეტვენ და იმედია, რომ ასევე ერდგულად, დინჯად და ძმურად მოილაპარაკებთ ერთმანეთში და მოუღებთ ბოლოს იმ მწუხარე მდგომარეობას თქვენი სასწავლებლისა, რომელშიაც ის არის ჩავარდნილი, სახლის უქონლობის გამო...

ა. ხ.

## წერილები რედაქტორთან

—

ბატონო რედაქტორო! *)

თქვენის გაზეთის გუშინწინდელს 205 №-ში ეწერა, უმეცარს და ცრუმორწმუნე ხალხს წინდაწინვე სჯეროა, რომ ურიებმა ქულაშში ბიჭი დაიჭირეს ამიტომ, რომ მათთვის საჭირო ყოფილიყოს ქრისტიანის სისხლი და ამის გამო მოუსპიათ ყოველ გვარი ვაჭრული განწყობილება ურიებთან და გარდა ამისა უწყალოდ სცემენო, სადაც კი შეხვდებიან სალოდავებსო. ურიებმა დაიჭირეს ბიჭი თუ არა, ან რა განზრახვით ამას გამოაჩენს ნამდვილი გამოძიება, და მართლმსაჯულება დასჯის წესისაებრ დამნაშავეს თუ აღმოჩნდა. ეგ ჩვენი საქმე არ არის. . . . .

კიდევ სწერია იმ ნომერში, კარგი იქნებაო, რომ ადგილობრივი დაწინაურებული თავადები ჩააგონებდენ ხალხს, რომ საქმის დაბოლოებამდინ სინამდვილედ ჩათვლა უკანონობა და უსამართლობააო.

ჩვენ დაწინაურებული თავადები ამისთანაებზედ თავს არ იტეხენ; ესენი ბრძანდებიან ახლა პირველი აბლაკატები ურიებისა, იმათი წინა-მძღომელნი. აი ერთი მაგალითი გუშინაც მოხდა სამტრედიას:

მართლა ისე პირუტყვნი კი ნურავის ეგონივართ რომ ზოგიერთ პირუტყვ ხალხივით დავერიოთ ურიებს და დავარბიოთ ანუ გავქლიტოთ; ჩვენ სხვა თავში-საცემი საქმეც ბევრნი გვაქვს ჩვენის ნაბატონეების მოწყალებით. ამაზედ კი არც არავინ არაფერს სწერს, არც არავის ტკივა თავი ხალხისთვის! უფრო მართალი და რიგიანი არ იქნება, თქვენმა კორრესპონდენტემა ის რომ დასწეროს, თავდების მოწყალებით ჩვენი ყანები აოხრებულია მწყერობის დროს; ნორმანული კლასი, რომელიც დაწესდა ამ სოფელში, მათის განხეთქილების გამო და უთანხმოებისა, არ მოდის შენობა სისრულეში; საბრალო შაგირდებს სასწავლო ადგილი არა აქვსთ, უსახლობის გამო, და დრო ეკარგებათ, ოსტატი ისეთს მდგომარეობაში არის, თვითონაც არ იცის რა ღონე იხმაროს; . . . . . . . . . . . . .

გლეხი გოგია მანტკავა.

9 მწიფობისთვე,
სამტრედია.

---

ბატ. რედაქტორო. ამას წინეთ თქვენს გაზეთში იყო მოხსენებული ჩვენი გარემოება, ბაბის შტატის ეკკლესიის მრევლი მოკლებულია წირვა-ლოცვას და სხვა მღვდელმოქმედებას უმღვდელოობისა გამო; მაგრამ ამ განცხადებას არავითარი ყურადღება არ მიაქციეს.

აგერ ერთი წელიწადია, რაც ასე ვართ დატანჯული. არც გვყავს მღვდელი და არც დიაკონი, და ჩვენი ბექათუმნის საზოგადოების მამასახლისი მაინც გვახდევინებს კომლზედ ორ მანეთს დრამას ჩვეულობისამებრ და უგზავნის ბ. ბლაღოჩინს დე—ძეს. ვისთვის და რისთვის ვართ ასე დასჯილი, ვერ შევიტყვეთ. თუმცა მრავალ გზის მივმართეთ ბ. ბლაღოჩინს, მაგრამ იმან ჩვენ თხოვნას ყურიც არ უგდო; ამბობს, ითხოვეთ და მღვდელი მოგივათო. ეს თხოვნა როგორი უნდა იყოს ვერ გავიგეთ. პატიოსანი მღვდელი ი. ტაბატაძე, რომელიც გვყავდა უმაღლეს მთავრობისაგან მონიჭებული, სად გადაგვილუპა ბ. ბლაღოჩინმა ვერ შევიტყვეთ.

1877 წელს დაგვაყენა ძალა მ. ბლაღოჩინმა და აგვაშენებინა ახალი ქვითკირის ეკკლესია, რომელიც მზად არის, ეხლა კურთხევის მეტი არა უნდა-რა, მაგრამ მ. ბლაღოჩინის წყალობით გაჩერებულია; მ. ბლაღოჩინი ამბობს, რუსეთში ხატებზედ ფული გავგზავნე და ჯერ არ მოსულაო. ამ დალოცვილმა 1877 წელს წაიღო სამოც-და-ათი თუმანი ხატებისთვის და აქამდინ რით ვერ მოუვიდა, თუ მართალია. ბატონო არ დავეძებთ ახალ ხატებს, ძველმა ხატებმა რა დაგვიშავა. დღემდინ მარტო ერთი ძველი ეკკლესია გვქონდა და არ ვყოფილვართ მოკლებული წირვა-ლოცვას და ეხლა ორი ეკკლესია გვაქვს და ორივე დაუქმებულია!

ამას წინედ იმერეთის ეპისკოპოზმა გვიქადაგა, წირვა-ლოცვაზედ არ დადიხართ ხშირადო, უნდა იაროთ, ქრისტიანი კაცი მართლ-მადიდებლობის სარწმუნოებისა არ უნდა მოაკლდეს წირვა-ლოცვასო, კვირაში ერთხელ მაინც უნდა მოისმინოთო, თუ რომ დაუძლურებული და მძიმე ავადმყოფი არავინ არის. ეს ძალიან კარგი, არც ავად ვართ და არც დაუძლურებული და არც არა გვტკივა-რა, მაგრამ წირვა-ლოცვა სულ მოგვესპო, ეს ერთი წელიწადია.

ბექათუმნის საზოგადოების
ს. ბაზელის გლეხი
ს. მჭედლიშვილი.

*) რედაქციისაგან დამოუკიდებელის მიზეზის გამო, ეს წერილი ისე ვერ იბეჭდება, როგორც ჩვენ გვსურდა.

# უცხოეთი

—

**საფრანგეთი.** ამ უკანასკნელ ხანებში ფერნანდოს ცირკში, პარიჟში, ჰქონდათ კრება რადიკალებს. დიდი მღელვარება იყო ამ კრებაზედ, რომელზედაც რამდენიმე ათასი პირი დაესწრო. კრების თავჯდომარედ იყო ტონი რევილიონი, რომელმაც, სხვათა შორის, შემდეგის სიტყვებით გახსნა სხდომა:

„50,000 მამა და დედა ჰკითხულობენ, რისთვის იბრძვიან მათი შვილები (თუნისში), სამშობლოსათვის, თუ სხვა შემარცხვენელ, წვრილმან ინტერესებისათვის?“ — საფრანგეთის მმართებლობამ, მიტომ ასტეხა ეს ომი თუნისშიო, სთქვა რევილიონის შემდეგ ერთმა ორატორმა ბიუიმ, რომ ჩვენ თვალები აგვეხვიოს, ჩვენი ყურადღება შინაგან საქმეთაგან განარიდოს და თუნისზედ მიგვაქციევინოს. ჯერ ბატონებო, იეზუიტები ჩაგვაყლაპინა მმართებლობამ და ეხლა ხრუმირებიც უნდა—ჩაგვაყლაპინოს. ნუ თუ საფრანგეთმა სტრასბურგი და სედანი რომ დაჰკარგა, ამის დაკმაყოფილებას თუნისში ეძებსო? ამის შემდეგ ილაპარაკა ბარ. ბილინგმა, რომელმაც გაამჟღავნა ბევრი საფრ. პრეზ. გრევის და ბამბეტას ნალაპარაკევი და სხვათა შორის სთქვა, მმართებლობამ ისეთ ომში გახვია საფრანგეთიო, რომელსაც ბოლო მგონი არასოდეს არ მოეღებაო. მაშინ, როდესაც გერმანია თან-და-თან აძლიერებს თავის მხედრობას და დღემდის 40,000 კაცი შემატა თავის ჯარსო.—ამ დროს სა-

---

მართა ხმას არ იღებდა; ის გაშტერებით დასცქეროდა ფილაქანს, თითქო უნდოდა იქ ამოეკითხნა თავისი მომავალი ბედი. დედა ცრემლებს იმაგრებდა და მერე ნაღვლიანად უთხრა:

— შვილო, რუსის ქალი ჩვენ არ გამოგვადგება, ისინი სხვა ხასიათისა არიან; მაგრამ რა ვუყოთ, რაც მოხდა, ველარას ვუშველით. ოღონდ კი შენ დაურჩი დედა—შენ ეფემიას და მე ვიცი და იმან, როგორც პატივსა ვცემ. წადი და მომგვარე შენი ცოლშვილი.

— დედა, აქედ მხარეს ძნელია ალაგის შოვნა და მაშოც იწერება, რომ ადგილი კიდეც უშოვნია პეტერბურღის მხარეს. საწყალი იმის დედაც ისე ავათმყოფობს, რომ შორს ვერსად ვერ წავა.

— ვაი ჩემი ბრალი! ეხლა რაღა მეშველება! დაიძახა მართამ და თავში წაიშინა. გაშმაგებულმა დედამ ველარ დაიკავა თავი და მივარდა შვილს:

— როგორ! მაშ სრულებით მიდიხარ?! მაშ იმიტომ გაგზარდე წვითა და დაგვით! ჩვენთვის არც ჭამა-სმა იყო, არც ჩაცმა-დახურვა! გროშს-გროშზე ვადებდით და ვიგზავნიდით, იმიტომ რომ წახვიდე და რუსებს მოუჯდე? ვაი, ჩემო მართავ, შენი ქალობა ვის შევწირე!

ეფემია ულონოდ დაეშვა სკამზე, მერე ფიცხლავ წამოდგა და ტირილით შევიდა ოთახში. მიხაკა კი მივიდა მართასთან და ალერსით უთხრა:

— მართა, წადი დედა დააჩუმე. ამ ორ წელიწადზე უექველად დავბრუნდები ცოლ-შვილით და ერთად მხიარულად ვიცხოვრებთ. საკრავს თავი დაანებე, საცხოვრებელს იქიდამ მე გამოგიგზავნი.

ნაღველმა მართას ყბები ისე შეუკრა, რომ ხმა ვერ გასცა ძმას; მხოლოდ ვინც დააცქერდებოდა იმის სახეს, შეატყობდა—თუ რა ცეცხლის ალები უტრიალებდა გულში.

იმ ღამეს ამ სახლში არავის დაუძინია. ბათენებამდის მოისმოდა ეფემიას ტირილი. მართამაც ხმა ამოუღებლივ, სტოლზე დაბჯენილი, გაატარა ღამე. მიხაკა კი აღელვებული დადიოდა ოთახში და წამ-და-უწუმ გაიხედავდა ქუჩაში;—მოუთმენლად მოელოდა გათენებას.

დილა-ადრიანად მიხაკა გაემგზავრა.

დედას და ქალს სიზმარივით დარჩად ბედნიერად გატარებული ორიოდე დღე.

—

1878 წელს, ომის გამო, ინჟინერებს ჩვენში ბევრი საქმე გამოუჩნდათ, ამიტომაც მიხაკამ ადვილად იშოვა ალაგი ჩვენ მხარეს და რადგან სიდედრიც მოჰკვდომოდა, გამოემგზავრა ცოლ-შვილით სამშობლოსკენ. ის ყოველთვის ცოტაოდენ ფულს უგზავნიდა დედას და დას, იცოდა კიდეც, რომ სახლიც გაეყიდათ; მაგრამ ამ უკანასკნელ თვეებში შინიდამ ამბავი არ მოსვლოდა. ეხლა მოუთმენლად მოეშურებოდა. ცოლ-შვილი დასტოვა მ—ის სტანციაში, საცა უნდა ყოფილიყო ამის ახალი ბინა და თითონ გაეშურა თბილისს დედის და დის წამოსაყვანად; მაგრამ გული კი როგორღაც უძგერდა, თითქო უბედურება მოელოდა.

მართა შინ არ დახვდა; ის დიდი ხანია რაც წასულიყო ყარსისკენ და რისთვის—ის კი არავინ იცოდა; ზოგი ამბობდა, რომ თავის აფიცრის საპოვნელად წავიდაო და ზოგი კი, რომ დაჭრილების მოსავლელადაო. მიხაკა ბევრი აქეთ-იქით ეცა, უნდოდა შეეტყო დის ამბავი, მაგრამ ვერა გახდა-რა. ეფემია-კი ბევრი ყვირილისაგან დაბრმავებულიყო და მართას მოშორების შემდეგ ისე გამოსულელებულიყო, რომ იმის წაყვანა მიხაკას არ შეეძლო.

მიხაკას მუდმივი დაწყნარებული ხასიათი აღელვდა:

— ვითომ მე ვარ დამნაშავე ამ შემთხვევაში? ეკითხებოდა მიხაკა თავის თავს შინ დაბრუნების დროს.

ანას. თუმანიშვილისა.

ზოგადოებიდამ წამოიძახა ვიღამაც: მართალია, თუ არაო, ეგ ბარ. ბელინგი, რომელიც ეხლა ჰკიცხავს ეგრე გაცხარებულად მმართებლობასაო, ამ უკანასკნელისაგან რუსტანის შემწეობით ითხოვდა რაღაცისათვის 1,500 ფრანკსაო. ამ სიტყვებმა მეტად აალელვა საზოგადოება.—

ამ კრებასთან ერთად ანარხისტებთაც ჰქონდათ კრება. ამ კრებაზედ უფრო მეტი გაცხარებული წინააღმდეგი სიტყვები წარმოსთქვეს მმართებლობაზედ. ვილაც პიერრონს უთქვამს, რომ მინისტრები უნდა ჩამოვახრჩოთ—დახვრეტა ცოტაა მათთვისაო, რომ გამბეტას არ ეღირსება თავის ლოგინში სიკვდილიო. ვილასაც კიდეც განეძრახა გამბეტას სიკვდილი და უდარაჯებდა მას, მაგრამ ვერ მიაღწია თავის წადილს.

— ერთ ავსტრიის გაზეთის თანამშრომელს უთხრა საფრანგეთ. უცხო ქვეყნების საქმეთა მინისტრმა ბართელემი სენ-ილერმა, რომ საფრანგეთისა და იტალიის კეთილ განწყობილი დამოკიდებულება სრულიადაც არ შეიცვლება იმით, რომ იტალიის კოროლმა ინახულა ავსტრიის იმპერატორი. ფრანცუზები თანაუგრძნობენ, როგორც ავსტრიას, აგრეთვე იტალიასაც.

# განცხადებანი

ბბ. გ. იოსელიანისა და რ. რეცოლდის პანსიონში და სასწავლებელში იღებენ ყმაწვილებს პირობით ყოველ საშუალ სასწავლებლებში მოსამზადებლად.

მიხაილოვის ქუჩა, გურგენბეგოვის სახლებში. № 41

(5—5)

## ქ. ქუთაისში

ახლათ გაღებულს ივანე ნიკოლაძის მემკვიდრეების მაღაზიაში მიღებულია განსაკუთრებით ყოველ გვარი სამზღვარს გარეთის საქონლები, მაგალითებრ: კაცის, ქალისა და ბავშვების ფეხსაცმელები, ქუდები სხვა და სხვა ახალის მოდისა, პერანგები, კოვთები, მოსასხმელები, ბალდადები, კასინკები, ხელთათმანები, წინდები, ქამრები, ოქროს ნივთები, ქალის უნაგირები ხავერდისა და ლორის ტყავისა, სტოლისა და ჩაის ჭურჭლები, ქიქები, სარკეები, კრაოტები, სკამები, ლამპები, საყავეები. პარფიუმერიიდგან: გასალამაზებელი ორიზა და კორფლის წამალი ლე-ძანდესი, პუდრები ორიზა, ველუტინი და ანტეა. აგრეთვე ისყიდება სხვა და სხვა დუხები. ყოველი საქონელი 1-ის ხარისხისა არის და ისყიდება უფრო იაფათ ვინემ სხვაგან, ასე რომ თითოეულის მანეთის სალირელს 25 კაპეიკამდის აკლებენ.

(5—5)

თექვსმეტ ოქტომბრიდამ ჩემს ხელში

გადმოვიდა ცენტრალური

## სასტუმრო,

რომელიც არის მიხაილოვის ხიდის ყურში, ვარანცოვის მეგლის პირ-და პირ, ლიხათანსკისა და ნარიმანოვის სახლებში. სასტუმრო არის ჩინებულად მორთული, აქვს საკმაო რიცხვი ნომრებისა ფასად მანეთიდამ 5 მანეთამდე. ბუფეტისა და მოსამსახურისა ყველანი კმაყოფილნი იქმნებიან. სრული იმედი მაქვს, რომ თბილისის პატივცემული საზოგადოება საჭიროებისამებრ მომართავს ჩემ სასტუმროს, რომელიც მის და სასიამოვნოდ ყველაფერით შემიმკია და უსათუოდ მისს ყურადღებას დაიმსახურებს

სადილი და ვახშამი მსურველთ შეუძლიან მიირთვან გარიგებისამებრ ყოველ-დღეობით ან თვეობით მრიელ ხელ-მისაცემ ფასად.

სასტუმროს გამგე

(15—2) ლევან ოღახელაშვილი.

მიაქციეთ ყურადღება! საკუთარ თევზეულის მაღაზიაში, თამამშოვის ქარვასლის ქვეშ, ერევნის მეიდანზედ. ყოველთვის ვიღებთ ჩვენგან იჯარით აღებულის სალიანის წყლებიდამ ახალ-ახალს ქიტკას, ხიზილალას, დოშს და ზურგიელს. ისყიდება პარტიათ და წვრილათაც. აქვე ისყიდება მოხარშული დომეული, (5—2)

ქ. გორში მომრიგებელ სასამართლოის პირ-და-პირ გავხსენ ზეთით მომზადებული ყოველნაირი წამლების სამხატვრო საღებავთ მაღაზია, ვეიდი გირვანქობითაც თბილისის ფასებზედ 20% ნაკლებ მეიდველთ შეუძლიათ სოფლებიდამაც მომმართონ უტყუვრად გავგზავნებთ ყოველ-გვარი საღებავი (კრასკა)

(10—9) ივანე ს. ბაბალოვი

კანცელარია წერა - კითხვის გამვრცელებელი საზოგადოების გამგეობისა იმყოფება მთა-წმინდის ხევის (ოვრაჟსკის) ქუჩაზედ, № 9, ფარესოვის სახლების ზემო ეტაჟში. (5—4)

ბრიქუროვის წიგნის მაღაზიაში (ბაღის პირ-და-პირ) და ბ-ნი იოანნისიანთან (ოკრუჟნის სუდის ქვემოთ) ისყიდება წერა-კითხვის საზოგადოების გამოცემა:

წითელი ფარანი, ფასი 15 კ.

ხატაური — — — 10 კ.

# ისყიდება

25% ნაკლებ მინამ სხვა ალაგას ჩაი, კაკაო, შეკოლადი, ბისკვიტი, მურაბა, ბრინჯი, ჭურჭლები, სტაქნები, ბაკლები, თეფშები, ჩაინიკები, სუდოკები, ფოლნოსები, პირის-საბანი, კლიტეები, სამურველი, ტანისამოსის საკიდი, კოვზები, დანები, კალმები, ქაღალდი, კანვერტები, რვეულები, კარანდაშები, თოფები, რევოლვერები, კრაგები, პლაშჩები, ვანები, ქამრები, საყელურები, კლიონკა, უნაგირები, ლაგმები, უთოები, ტასტები, პირისახოცი, ცხვირის-სახოცი, ჩულქები, ტუალეტის საპონი, დუხები, შარბათი, ციტმატმაგნეზია, ქინას ღვინო, პორტ-ვეინი, ხერესი, კონიაკი და ათასი სხვ. რამეები,—ინგლისის მაღაზიაში. იქვე ჩაი გაჭართათვის ნარდათ: ფუთობით 40, 46, 52 და 58 მან. და გირვანქობით: 1 მ., 1 მ. 10 კ., 1 მ. 20 კ., 1 მ. 40 კ., 1 მ. 60 კ., 1 მ. 80., და უპირველი ხარისხისა 2 მ.—წონა უქაღალდოთ.

თოფები 20—60 მან., ჩოკ-ბორ (*choke bore*) *Ceorge Dau*-ს ფაბრიკიდამ—120 მან. რევოლვერები 4—34 მან. და ბულდოგისა 11—20 მ. ქალის უნაგირები 65 მან-დამ.; შეფილდის დანები ხანგლებით 3 მან. 50 კაპ-დამ დუჟ., ალბომები ნახევარ ფასად, ფილტრები და სხვ.

ყველაზედ უმრავლესი ამორჩევა თოფებისა და რევოლვერებისა თფილისში.

(100—27)

ი. მურადოვის

წიგნის მაღაზიაში

## ქუთაისში

მუდამ არის დამზადებული საკმაოდ ყოველ გვარი სასწავლო წიგნები, რომელნიც კი მოეთხოვებად სავაჟო და საქალებო გიმნაზიებში, სახალხო და სამოქალაქო სკოლებში მოსწავლეთა. არის აგრეთვე დიდ-ძალი სამოსწავლო და სკოლაში სახმარო ნივთები და მოთხოვნილებისა დაგვარად დახაზული რვეულები, ასი— 5 მანეთი., მუზიკალური ნოტები, სხვა და სხვა საწერი ნივთები და მასალეები უფრო იაფ ფასად, ვიდრე სხვაგან.

ქალაქს გარეშე მცხოვრებთა მოთხოვნილებას მაღაზია დაუყოვნებლივ აასრულებს და გამოგზავნის პირველივე წამომავალი ფოშტითა.

(50—9)

ინგლისის მაღაზიაში

არწრუნის გალლერეაში

(*Maison de confiance*)

| შეადარეთ ჩვენი ჩაი | ჩაის ყველგან |
|---|---|
| — — 1 მ. 10 კაპ. | — 1 მ. 40 კაპ. |
| — — 1 „ 20 „ | — 1 „ 60 კაპ. |
| — — 1 „ 40 „ | — 1 „ 90 კაპ. |
| — — 1 „ 60 „ | — 2 „ 20 კაპ. |
| — — 1 „ 80 „ | — 2 „ 50 კაპ. |
| საუკეთესო 2 მანეთ. | — 3 მანეთ. |

ჩაის წონა—უქაღალდოა, სხვაგან კი ქაღალდით. (100—58)

ინგლისის მაღაზიაში ახლად მიღებულია დიდ [illegible] მოკრეფისა 30% [illegible] სხვაგან. იქვე იყიდება: პარ-ესინა 40 კაპ. დაწყებული; სტაქნები, ბაკლები 10 კაპ—დამ; პადნოსები 5 კ.—დამ, მურაბა და ალბომები ნახევარ ფასად და სხვ. (100—36)

ლონდონის მაღაზია კომერციულს ბანკის ქვეშ დაარსებულია ნამდვილი ჩაიგასასყიდლათ პირველი მოკრეფილისა და საუკეთესო ინგლისური საქონლისა: მაგალითებრ: თოფებისა, რევოლვერების კლიტეებისა, ჭურჭლებისა, კრავატებისა, დანებისა, კოვზებისა, ჩაინიკებისა, შოკოლადისა, კაკაოსი, დუხებისა, საპონისა, შრო კებისა, ცხვირ-სახოცისა, ქაღალდისა, კარანდაშებისა, კალმებისა, უნაგრებისა, სუკრისისა (გემრიელი კლემჩივინი ზეთისა) და სხვ. სააგენტო მაკინტოშის მოსახურავებს გასასყიდლად კანფეტების და ბატჯერის და კამპ. მურაბისა, აგრეთვე ჩულქებისა და წინდებისა ნოტინგამიდამ. ნამდვილი ჯავანას გიარები. (100—46)

ჩაის მცოდნე პირმა და მსურველმა უნდა იყიდოს ჩაი, პირველი მოკრეფილისა ინგლისის მაღაზიაში 1 მან. 20 კაპ. და 2 მან. და შეადაროს ჩაის 1 60 კაპ. და 3 მან. ყველგან, ქ. თბილისში და გაიგებთ რამდენათ უკეთესი ჩაია ინგლისის მაღაზიაში. ამის გარდა მაღაზია აძლევს ჩაის წმინდა წონით უქაღალდოთ და უტყვიოთ.

(100—67)

ტაქსია

საკვებავ ხორაგეულებათა, რომელნიც იყიდებიან თფილისის ბაზრებში, დუქნებში და დატარებით 16 ოქტომბრიდამ 15 ნოემბრამდის.

გამომცხვარი პური: ხორბლის ფქვილის:

| | | | |
|---|---|---|---|
| პირველის ხარისხის | | —1 გირ. | — |
| მეორის | „ | —1 გირ. | 3½ |
| მესამის | „ | —1 გირ. | 3 კ. |

იმავე ფქვილ. თორნეში გამომცხვარი:

| | | | |
|---|---|---|---|
| პირველის ხარისხის | | —1 გირ. | 5½ |
| მეორის | „ | —1 გირ. | 4 კ. |

ჯვარის-მამის პური:

| | | | |
|---|---|---|---|
| პირველ ხარის. ლავაში | | 1 გირ. | 7 კ. |
| მეორის | „ „ | —1 გირ. | 5 კ. |
| მესამის | „ „ | —1 გირ. | 4½ |

ძროხის ხორცი:

| | | | |
|---|---|---|---|
| პირველის ხარისხის | | —1 გირ. | 8 კ. |
| მეორის | „ | —1 გირ. | 7 კ. |
| სუკი | — — | —1 გირ. | 14 კ. |
| ცხვრის ხორცი | | 1 გირ. | 8 კ. |

ღორის ხორცი:

| | | | |
|---|---|---|---|
| პირველი ხარისხის | | —1 გირ. | 14 კ. |
| მეორის | „ | —1 გირ. | 12 კ. |

Дозволено цензурою. Тифлисъ, 24 Октября 1881 г. Типографія С. Меликова. გამომც. ს. მელიქიშვილი. რედაქტორები: ილ. ჭავჭავაძე და ს. მესხი